

**ოქმი N15****ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომის****2017 წელი, 28 ივლისი  
ქ. ოზურგეთი, 12<sup>00</sup>სთ.****ესწრებოდნენ:**

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,  
კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ლ.თოიძე, მ.მახაროზიძე, ლ.  
ბიგვავა.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, თ. სალუქვაძე.

**არ ესწრებოდნენ:** კ. კვაჭაძე, თ. ნადირიძე, ნ.ტაბატაძე,  
სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი  
პირები.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი ნ. გოგუაძე

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის  
წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების  
შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20  
დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებლები: მარიკა ნაცვალაძე**

**ლავრენტი ბიგვავა**

**მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ** განმარტა წარმოდგენილი პროექტი და  
ითხოვა მთავრობიდან შემოსული თანხის ბიუჯეტში ასახვაზე თანხმობა.

**დაადგინეს:** საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად  
**დამტკიცდა ერთხმად**

საკრებულოს სხდომის ჩატარება გადაწყდა 2017 წლის 31 ივლისს 12 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა  
დასრულებულად გამოაცხადა.

### **სხდომის თავმჯდომარე**

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
ხელმძღვანელობა